

სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო“

ელექტრონული ტენდერის

დოკუმენტაცია

დასავლეთ საქართველოში განთავსებული სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო“-ს ტერიტორიული ერთეულების (ფილიალების) საჭიროებისათვის ბურღულეულის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილის და თხილეულის სახახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი
2011 წელი

სარჩევი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის	3
2. ტექნიკური დოკუმენტაცია	6
3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი	7
4. დამატებითი ინფორმაცია	13
5. დანართი N1, აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა	14
6. დანართი N2 სატენდერო წინადადების ფასი, ფასების ცხრილი, ტექნიკური პირობები.....	15
7. დანართი N3 ანგარიშსწორების პირობები	29
8. დანართი N4 რეკვიზიტები.....	30
9. დანართი N5 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ფორმა.....	31

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესაბამისად.

1.2 სატენდერო წინადადების წარდგენისათვის უნდა იყოს დარეგისტრირებული სისტემაში მიმწოდებლის სტატუსით. შემდეგ ვალდებული ხარტ გაეცნოთ აფიდავიტს და დაეთანხმოთ მას (გაცნობას და თანხმობას ადასტურებთ სისტემის მეშვეობით). აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა იხ. დანართ #1).

1.3 ამის შემდეგ, მიმწოდებელი ვალდებულია ჯერ წარმოადგინოს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია, ხოლო შემდეგ გადაიხადოს ტენდერში მონაწილეობის საფასური.

1.4 სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას სატენდერო განცხადებაში მითითებული სავარაუდო ღირებულების 1%-ის ოდენობით. ტენდერში მონაწილეობის საფასური შეადგენს 50 ლარს.

1.5 ელექტრონული გარანტიის წარდგენისა და საფასურის გადახდის სისტემაში არსებული ავტომატური საშუალებების დროებითი ტექნიკური გაუმართაობის შემთხვევაში, ელექტრონული გარანტიის წარდგენა და საფასურის გადახდა ყოველ კონკრეტულ ტენდერში შესაძლებელია განხორციელდეს სისტემის გამოყენების გარეშე.

1.6 ამ ინსტრუქციის 1.5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, როდესაც ხდება ელექტრონული გარანტიის წარდგენა და საფასურის გადახდა სისტემის გამოყენების გარეშე, ელექტრონული გარანტიის დედანი და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წარედგინება შემსყიდველ ორგანიზაციას. აღნიშნული ქმედებების განხორციელების გარეშე თქვენ არ გექნებათ სატენდერო წინადადების წარდგენისა და, შესაბამისად, ტენდერში მონაწილეობის შესაძლებლობა.

1.7 ელექტრონული გარანტიის ოდენობა შეადგენს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, ხოლო ვადა განისაზღვრება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში წინადადების მიღების დაწყებიდან არანაკლებ 60 კალენდარული დღით.

1.8 მას შემდეგ, რაც ზემოაღნიშნულ ქმედებებს განახორციელებთ, თქვენ უფლება გაქვთ სისტემის მეშვეობით წარადგინოთ სატენდერო წინადადება, რომელიც ძალაშია აღნიშნულ ტენდერზე „ხელშეკრულება დადებულია“, „დასრულებულია უარყოფითი შედეგით“ ან „ტენდერი შეწყვეტილია“ სტატუსის მინიჭებამდე.

1.9 სატენდერო წინადადება შედგება სატენდერო წინადადების ფასისგან და ტექნიკური დოკუმენტაციისგან.

1.10 ტექნიკური დოკუმენტაცია არის პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული შესყიდვის ობიექტისა და პრეტენდენტის შესახებ ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც მოთხოვნილია სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით, გარდა ადმინისტრაციული ორგანოდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა.

1.11 ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვის შემდეგ, თქვენ გაქვთ შესაძლებლობა მიუთითოთ თქვენი სატენდერო წინადადების ფასი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

1.12 სატენდერო წინადადების ფასის მითითებისთანავე თქვენ უფლება გაქვთ მიიღოთ მონაწილეობა ელექტრონულ ვაჭრობაში, რომელიც იყოფა ძირითად დროდ და დამატებით 3 რაუნდად.

1.13 ძირითად დროში უფლება გაქვთ ცვალოთ თქვენი ფასი, კლებადობის პრინციპის გათვალისწინებითა და შემსყიდველის მიერ განსაზღვრული ბიჯზე არანაკლები ოდენობით.

1.14 ბიჯი არის სატენდერო წინადადების ფასის კლების წინასაწარ განსაზღვრული მინიმალური ოდენობა, რომელიც მითითებულია სატენდერო განცხადების შესაბამის ველში.

1.15 დამატებითი რაუნდების თითოეულ რაუნდში პრეტენდენტს უფლება აქვს მხოლოდ ერთხელ შეამციროს წინადადების ფასი, რისთვისაც განესაზღვრება ორი წუთი. დამატებით რაუნდებში მონაწილეობა სავალდებულო არ არის და პრეტენდენტს უფლება აქვს რაუნდში მონაწილეობა არ მიიღოს და, შესაბამისად, ძალაში დარჩება მის მიერ ბოლოს დაფიქსირებული ფასი. რაუნდებში მონაწილეობის მიღება გულისხმობს ზემოთ აღნიშნული პრინციპით ფასის შემცირებას ან მის იგივე ოდენობით დატოვებას.

1.16 დამატებით რაუნდებში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებმაც ძირითად დროში წარადგინეს წინადადება დადგენილი წესით. პირველ რაუნდში პრეტენდენტის მიერ წინადადების ფასის წარდგენის რიგითობა განისაზღვრება ძირითად დროში წარდგენილი წინადადების ფასის მიხედვით, კერძოდ, პირველ რაუნდში ბოლო შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც ძირითად დროში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა, ხოლო ყოველ მომდევნო რაუნდში - კი ის პრეტენდენტი, რომელმაც წინა რაუნდში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა. წინადადების თანაბარი ფასების დაფიქსირების შემთხვევაში, რაუნდში ბოლო შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც პირველმა დააფიქსირა ასეთი ფასი.

1.17 მას შემდეგ, რაც დასრულდება დამატებითი რაუნდები, სისტემა პრეტენდენტებს აჯგუფებს სატენდერო წინადადების ფასის მიხედვით. ამის შემდეგ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მოწმდება ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია.

1.18 იმ შემთხვევაში თუ ორი ან მეტი პრეტენდენტის მიერ სისტემაში მითითებულია თანაბარი ფასი, სისტემა ავტომატურად ანიჭებს უპირატესობას იმ პრეტენდენტს, რომელმაც პირველმა მიუთითა სატენდერო წინადადების აღნიშნული ფასი.

1.19 იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ მოთხოვნებს, სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით ხდება პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია, გარდა იმ შემთხვევისა თუ პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეიცავს ისეთ მონაცემს ან/და შეიცავს ისეთ უზუსტობებს, რომელთა წარმოდგენა ან/და დაზუსტება არ გამოიწვევს ტექნიკური დოკუმენტაციის არსებით ცვლილებას და არ მოახდენს გავლენას წინადადების ფასზე. ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს პრეტენდენტს მის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნით, რისთვისაც განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, მაგრამ არა უმეტეს სამი სამუშაო დღისა.

1.20. იმ შემთხვევაში, თუ ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია შეესაბამება სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემულ მოთხოვნებს, სატენდერო კომისია მიმართავს მას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გასაცემი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნით (სატენდერო დოკუმენტაციით ასეთი მონაცემების მოთხოვნის შემთხვევაში) , რისთვისაც განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, მაგრამ არა უმეტეს ხუთი სამუშაო დღისა. პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში შესაძლებელია განხორციელდეს სისტემის გამოყენების გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით, პრეტენდენტს ასევე უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები (ელექტრონული სახით) შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგინოს სისტემის მეშვეობით

1.21 იმ შემთხვევაში თუ ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტმა წარმატებით გაიწვია ყველა ზემოთ მოყვანილი ეტაპი (არ იქნა დისკვალიფიცირებული), ამ პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენიდან (სატენდერო დოკუმენტაციით ასეთი მონაცემების მოთხოვნის შემთხვევაში) პრეტენდენტსა და შემსყიდველ ორგანიზაციას შორის იდება ხელშეკრულება, ამ საკვალიფიკაციო მონაცემების წარდგენიდან არა უგვიანეს ხუთი სამუშაო დღისა.

1.22 პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია ხდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ საუკეთესო ფასის მქონე პრეტენდენტის სატენდერო წინადადება და ტექნიკური დოკუმენტაცია დაზუსტების შემდგომ არ შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს

ბ) თუ პრეტენდენტი უარს იტყვის თავის სატენდერო წინადადებაზე;

გ) პრეტენდენტის მიერ ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების (სატენდერო დოკუმენტაციით ასეთი მონაცემების მოთხოვნის შემთხვევაში) დამადასტურებელი დოკუმენტების შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ვადაში წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე ან შეუსაბამო მონაცემების წარმოდგენისას;

დ) თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია მოითხოვს დაზუსტებას და სატენდერო კომისიის მიერ განსაზღვრულ ვადაში პრეტენდენტი არ დააზუსტებს ტექნიკურ დოკუმენტაციას

ე) თუ გამარჯვებული პრეტენდენტი უარს განაცხადებს ხელშეკრულების დადებაზე ან არ წარმოსადგენს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიას (სატენდერო დოკუმენტაციით ასეთი გარანტიის მოთხოვნის შემთხვევაში) შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ვადაში;

ვ) თუ პრეტენდენტი ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით, ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას.“.

1.23 ამ ინსტრუქციის 1.22 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს ყველაზე დაბალი ფასის მქონე მომდევნო პრეტენდენტს, თუ ამ პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია შეესაბამება სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემულ მოთხოვნებს.

1.24. წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია პრეტენდენტს დაუბრუნდება ტენდერისთვის „ხელშეკრულება დადებულია“, „დასრულებულია უარყოფითი შედეგით“ და „ტენდერი არშედეგა“ სტატუსების მინჭების შემდეგ.

1.25. წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია პრეტენდენტს არ დაუბრუნდება შემდეგ შემთხვევებში:

- ა) პრეტენდენტი უარს იტყვის თავის სატენდერო წინადადებაზე;
- ბ) პრეტენდენტი შეეყვანილია შავ სიაში შესაბამისი ტენდერის ჩატარების შედეგად;
- გ) პრეტენდენტი დისკვალიფიცირებულია შემდეგი შემთხვევების გამო:
 - გ.ა) თუ მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები არ შეესაბამება სატენდერო განცხადებას ან/და სატენდერო დოკუმენტაციას;
 - გ.ბ) თუ ის არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

გ.დ) თუ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით, ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას

1.26. იმ შემთხვევაში, თუ ელექტრონული გარანტიის პრეტენდენტისათვის დაბრუნება მოხდება ამ ინსტრუქციის 1.24. და 1.25. პუნქტებით დადგენილი პირობების დარღვევით, პრეტენდენტი ვალდებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დაუბრუნოს საგარანტიო თანხა შესაბამისი მოთხოვნისთანავე.

1.27. ტენდერის შეჩერება და შეწყვეტა:

- ა) სატენდერო კომისიას უფლება აქვს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა თუ ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შემდეგ, თუ მომდევნო ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის წინადადების ფასი ბაზარზე შეცვლილი გარემოებების შედეგად, მნიშვნელოვნად აღემატება დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულ ფასს ან/და ამ შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებას.
- ბ) სატენდერო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე;
- გ) შესყიდვის პროცედურების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, პრეტენდენტებს წარუდგინოს კონკრეტული მტკიცებულება ან დეტალური ინფორმაცია, რომლის საფუძველზედაც მიიღო ეს გადაწყვეტილება. შესყიდვის პროცედურების შეჩერებისას ან შეწყვეტისას შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, აანაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

1.28. ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.29. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.30. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

1.31. ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.33. ტენდერი გამოცხადებულია სტატუსის მინიჭებიდან, წინადადების მიღება დაწყებულია სტატუსის მინიჭებამდე მიმწოდებელს უფლება აქვს სისტემის მეშვეობით მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას სატენდერო განცხადებასთან და სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული საკითხების დაზუსტება, ხოლო შემსყიდველი ორგანიზაცია გონივრულ ვადაში სისტემის მეშვეობით ახორციელებს შესაბამის დაზუსტებას/განმარტებას, რითაც შესაძლებელია იხელმძღვანელოს ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა

1.34. პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება

2.1. როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

ა) პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინოს სატენდერო წინადადების ფასი, ფასების ცხრილი, ტექნიკური პირობები, საქონლის მიწოდების პირობები და ვადები დანართი №2-ის მიხედვით

დანართი #2 წარმოდგენილი უნდა იყოს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული ფორმის დაცვით

ბ) თანხმობა სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ ანგარიშსწორების პირობაზე (დანართი №3);

გ) რეკვიზიტები – დანართი №4-ის მოთხოვნათა გათვალისწინებით

დ) სატენდერო წინადადების ხელის მომწერისათვის უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული მინდობილობა (საჭიროების შემთხვევაში)

2.2. ანგარიშსწორების პირობები:

ანგარიშსწორების პირობები და ვადები განსაზღვრულია დანართი №3-ის მიხედვით

2.3 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პირობები:

ტექნიკური პირობები იხ. დანართი №2.

2.4. ელექტრონულ სისტემაში უნდა ატვირთოს 2.1 პუნქტში ჩამოთვლილი ინფორმაცია, რომლის ყველა გვერდი ხელმოწერილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

2.5. სატენდერო წინადადების ფასი

2.5.1 პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს სატენდერო წინადადების ფასი და ფასების ცხრილი დანართი №2-ის მიხედვით.

2.5.2 სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს ლარში, შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილამდე ტრანსპორტირების, მიმწოდებლისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით მათ შორის დღგ-ს გათვალისწინებით თუ პრეტენდენტი არის დღგ-ს გადამხდელი.

2.6. საქონლის მიწოდების ვადები და პირობები

საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს დანართი №2-ში მითითებული ადგილისა და პირობების შესაბამისად

2.7. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია

2.7.1. ტენდერში გამოიყენება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, სახელშეკრულებო ღირებულების 5%-ის ოდენობით, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს დოკუმენტაციის დანართი №5-ის მიხედვით.

2.7.2. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

2.7.3. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ვადებში.

2.8. დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი

2.9. დამატებითი მოთხოვნები

2.9.1 სატენდერო წინადადება, აგრეთვე ამ წინადადებასთან დაკავშირებული შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის გაცვლილი მთელი კორესპონდენცია და დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე.

2.9.2 პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

2.9.3. სატენდერო წინადადების საერთო და თითოეული ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში - ლარი.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად ტენდერში გამარჯვებულთან. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო“ მისი დირექტორის თამარ მახარაშვილი სახით (შემდგომში „შემსყიდველი“)

იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №144, ფაქტობრივი მისამართი თამარაშვილის ქ.№ 15ა მე-3 სართული

(ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი)

და მეორეს მხრივ _____

მისი _____

იურიდიული მისამართი _____

(ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი) (შემდგომში მიმწოდებელი)

1. ხელშეკრულების ღირებულება

შემსყიდველმა გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი დასავლეთ საქართველოში განთავსებული სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო“-ს ტერიტორიული ერთეულების (ფილიალების) საჭიროებისათვის ბურღულეულის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილის და თხილეულის შესყიდვაზე და ტენდერის შედეგად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი _____ ლარად (შემდგომში ხელშეკრულების ღირებულება)

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.

2.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

2.2.1. საქონლის მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

2.2.2. მიწოდებული საქონლის ან/და მისი ნაწილის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან - ხელშეკრულების დანართი №1-თან (სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №2 - ტექნიკური პირობები) შესაბამისობის დადგენა, შესაბამისი ინსპექტირების დასკვნის შედგენა და მის საფუძველზე შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

2.2.3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე საბოლოო კონტროლის განხორციელება, საბოლოო ინსპექტირების დასკვნის მომზადება, მიმწოდებელთან საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

2.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო“-ს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირები.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პირობები, ერთეულის ფასი, საერთო ღირებულება მოცემულია ხელშეკრულების დანართში №1 (სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №2)

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, კალენდარულ კვირაში ერთხელ, 2011 წლის განმავლობაში, მოთხოვნის შესაბამისად დღის 10 საათიდან 19 საათის ჩათვლით.

4.2. საქონლის მიწოდების ყოველი კალენდარული კვირის მოთხოვნას შესაბამისი საქონლის სახეობის, რაოდენობის და მიწოდების კონკრეტული დღის მითითებით ადგენს და საქონლის წინა ეტაპზე მიწოდების დღეს წერილობით ან ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის მეშვეობით გადასცემს/უგზავნის მიმწოდებელს შემსყიდველის შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის (ფილიალის) უფროსი, რომლის საფუძველზეც მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საქონლის მიწოდება.

4.3. საქონლის პირველ ეტაპზე მიწოდება მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის (ფილიალის) უფროსის მიერ ხელშეკრულების 4.2. პუნქტის შესაბამისად გადაცემული მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნის გადაცემიდან/გაგზავნიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.4. საქონლის მიწოდების ადგილი განისაზღვრება ხელშეკრულების დანართი №1-ით (სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №2)

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება ხორციელდება ეტაპობრივად მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად.

5.2. საქონლის მიღებისას სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო“-ს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი მიწოდებული საქონლის ხელშეკრულების დანართი №1 -ით (სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №2) გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით ახორციელებს საქონლის შემოწმებას და ადგენს შესაბამის შუალედურ ინსპექტირების დასკვნას.

5.3. იმ შემთხვევაში თუ, მიწოდებული საქონელი შეესაბამება ხელშეკრულების დანართი №1-ით (სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №2) გათვალისწინებულ მოთხოვნებს, სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო“-ს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს მიწოდებული საქონლის მიღებას, ხოლო თუ, საქონლის მიწოდების პროცესში გამოვლინდება, რომ საქონელი ან მისი ნაწილი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულების დანართი №1-ით (სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №2) გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ნაკლოვანი საქონელი და დაუბრუნოს იგი მიმწოდებელს მიმწოდებლის ხარჯით.

5.4. მიმწოდებელმა საანგარიშო კალენდარული თვის მომდევნო თვის არაუგვიანეს 10 რიცხვისა შემსყიდველს წერილობით უნდა წარუდგინოს საქონლის მიწოდებისას სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო“-ს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირის მიერ შედგენილი შუალედური ინსპექტირების დასკვნები, შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის (ფილიალის) უფროსის მიერ გადაცემული საქონლის მიწოდების მოთხოვნები, საანგარიშო კალენდარული თვის განმავლობაში მიწოდებული საქონლის შუალედური მიღება-ჩაბარების აქტები, სასაქონლო ზედნადებები და საგადასახადო ანგარიშფაქტურა (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ-ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან).

5.5. ხელშეკრულების 5.5. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. #15ა, სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო“.

5.6. ხელშეკრულების 5.5. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების კონტროლს განხორციელებს სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო“-ს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი, რომელიც წერილობითი მომართვის მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში ახორციელებს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემოწმებას, ადგენს საბოლოო ინსპექტირების დასკვნას და ხარვეზის არარსებობის შემთხვევაში ახორციელებს მიმწოდებელთან საანგარიშო კალენდარული თვეში მიწოდებულ საქონელზე საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას, ხოლო ხარვეზის არსებობის შემთხვევაში საბოლოო ინსპექტირების დასკვნის და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება განხორციელდება ხარვეზის აღმოფხვრიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, საანგარიშო კალენდარული თვის განმავლობაში მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების 5.6. პუნქტის შესაბამისად გაფორმებული საბოლოო ინსპექტირების დასკვნის, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადებისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარდგენის საფუძველზე (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ-ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან) საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.4. მიმწოდებლის მიერ წინასწარი ანგარიშსწორების მოთხოვნის შემთხვევაში შემსყიდველი განხორციელებს წინასწარ ანგარიშსწორებას მიმწოდებელთან სახელშეკრულებო ღირებულების არაუმეტეს ___%-ის ოდენობით, მიმწოდებლის მიერ იმავე ოდენობის თანხაზე წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) საბანკო გარანტიის წარმოდგენის საფუძველზე, წინასწარი (საავანსო) ანგარიშსწორების საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.5. მიმწოდებლის მხრიდან წინასწარი ანგარიშსწორების მოთხოვნის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) საბანკო გარანტია წარუდგინოს შემსყიდველს ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს წინასწარ ანგარიშსწორებაზე.

6.6. წინასწარი (საავანსო) ანგარიშსწორების საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 (ოცდაათი) დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

6.7. წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში, თავდაპირველად განხორციელდება ავანსის სახით გადარიცხული თანხის დაქვითვა მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულების პროპორციულად, ხოლო შემდგომი ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების 6.3. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.8. წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის ამოწურვის შემდეგ მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში შემსყიდველი უზრუნველყოფს მიმწოდებლისთვის წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) საბანკო გარანტიის დაბრუნებას.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1. მიაწოდოს „შემსყიდველს“ უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;

7.1.2. „შემსყიდველს“ მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

7.1.3. უზრუნველყოს ნაკლოვანი საქონლის შეცვლა ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში;

7.1.4. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.5. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.1.6. ხელშეკრულების 6.9. პუნქტით დადგენილ ვადაში წარუდგინოს შემსყიდველს დეკემბრის თვეში მისაწოდებელი საქონლის ღირებულების შესაბამისი წინასწარი ანგარიშწორების (საავანსო) საბანკო გარანტია.

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1. სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების უწყვეტი დაფარვის პირობებში უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დროული და სრული დაფინანსება

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს მიწოდებული პროდუქციის ხარისხის, რაოდენობისა და მიწოდების ვადის კონტროლი;

8.2.2. განაცხადოს უარი უხარისხო საქონლის მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

